

# საზოგადო ტროპარ-კონდაკნი

*წმიდათა ანგელოსთა*

*ტროპარი, ჳმად 4.*

ზეცისა მკედრობათა მთავარ-ანგელოსნო (სახელი) გვეკვდრებით უღირსნი ესე, რამთა მეოხებითა თქუენითა შეგვზღუდნეთ ჩუენ საფარველითა ფრთეთა თქუენთაჲთა, და უკორცოჲსა მის დიდებისა თქუენისა მიერ დაცულნი შევივრდებით, და ჳელ-აპყრობით გილაღადებთ, ლელვათა და განსაცდელთაგან გჳჳსნენით ჩუენ, დიდნო მთავარნო ზეცისა ძალთანო.

*კონდაკი, ჳმად 2.*

მთავარ-ანგელოსნო ღმრთისანო (სახელი), მსახურნო საღმრთოჲსა მის დიდებისანო, ანგელოსთა-მთავარნო და წინამძღუარნო შეკთომილთანო, უმჯობესისა ჩუენცა გვიოხენით დიდსა წყალობასა უკორცოთა ძალთა ერის მთავარნო.

*წმიდათა წინამსწარმეტყუელთა*

*ტროპარი, ჳმად 2.*

წინამსწარმეტყუელისა შენისა (სახელი), უფალო საკსენებელსა ვდლესასწაულობთ, მისითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

კონდაკი, კმა 4.

განათლდა სულითა წმიდითა გული შენი, და იქმენ წინამსწარმეტყველებისა ბრწყინვალედ შემწყნარებელ, რამეთუ ხელედი ყოველსა აწინდელსა ყოფადსა მას, ამისთვისცა პატივის-ცემით შენ, წინამსწარმეტყველო (სახელი) დიდებულო.

*წმიდათა მოციქულთა*

*ტროპარი, კმა 3.*

მოციქულნო წმიდანო (სახელი), ევედრენით მოწყალესა ღმერთსა, რამთა ცოდვათა შენობაჲ მოგვანიჭოს და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

კონდაკი, კმა 2.

მტკიცენი და ღმრთის-მეტყუელნი, ქადაგნი და თავნი მოწყაფეთა შერთანი (სახელი), უფალო, იზარენ განსასუენებელსა კეთილთა შენთამასა, რამეთუ შრომანი მათნი და სიკუდილნი მითუალენ უფრომს ყოველთა მსხუერპლთა და შესაწირავთა, მხოლოო რომელმან უწყენი დაფარულნი გულთანი.

*წმიდათა მოწამეთა*

*ტროპარი, კმა 4.*

მოწამეძან შენძან, უფალო (სახელი), ღუაწლსა შინა თვსსა გვრავნი მოიგო უხრწნელებისა შენ მიერ ღმრთისა



ჩუენისა, რამეთუ აქუნდა მას შენ მიერი ძალი და მძლავრი დაამხუა და შემხუსრა კერპთა იგი უძღური ძალი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვენენ სულნი ჩუენნი.

კონდაკი, კმა 2.

ვარსკულავი ელვარე აღმოხედ, უცთომელ მხესა გვაუწყებ ქრისტესა, შარავანდელთა მის მიერ განათლებულო, ღუაწლით შემოსილო (სახელი), სრულიად დაშრიტე სიმრავლს საცთურისა და ჩუენ მოგუფენ ორკეცსა მას ნათელსა და მეოხ-ხარ დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათვს.

*წმიდათა მღუდელმთავართა*

*ტროპარი, კმა 8.*

კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშუდისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოშა შენისათვს ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმადლს და სიგლახაკითა სიმდიდრს, წმიდაო მღუდელმთავარო (სახელი), ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვს.

კონდაკი, კმა 2.

სადმრთომსა ქუხილისა საყრო სულიერო, მორწმუნეთა სიმტკიცეო და განმდევნელო წვალებისაო, სამებისა მსახურო, დიდო მღუდელმთავარო (სახელი), ანგელოსთა თანა მღვდომარეო მარადის, ევედრე ქრისტესა ღმერთსა დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათვს.

ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა

ტროპარი, ჳმად 1.

უდაბნოსა მოქალაქედ და ჳორცითა ანგელოსად და  
სასწაულთა მოქმედად გამოსჩნდი ღმერთშემოსილო მამაო  
წმიდაო (სახელი), მარხვითა, მღვდარებითა და ლოცვითა  
მადლი ზეცით მოიღე და ჳკურნებ უძღურთა სენთა და  
სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოივლტიან. დიდებაჲ,  
რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდებაჲ, რომელმან გურგუნოსან-  
გყო შენ, დიდებაჲ, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ჳედა  
სასწაულთა.

კონდაკი, ჳმად 2.

სიწმიდისა სულისაჲთა საღმრთოდ შეიჭურვე,  
დაუცხრომელად ლოცვაჲ, ვითარცა ლახუარი ჳელს-იდევ,  
კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბანაკი საკურველთ-მოქმედო  
მამაო (სახელი), ევედრე ღმერთსა დაუცხრომელად ჩუენ  
ყოველთათჳს.